საქართველოს მთავრობის

დადგენილება №544

2017 წლის 14 დეკემბერი

ქ. თბილისი

„წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №228 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №228 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/05/2015, 240110000.10.003.018613) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია ამ წესის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4.** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, მე-12 მუხლის „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტები და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.“.

3. დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„**მუხლი 4^1.** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**